



# სამსხალე

№ 407

**გაზეთის ფასი:**  
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვეურად 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დაგაბამით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილწილად

**განცხადების ფასი:**  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ კვირულში პეტრიტო ღირს 15 კ., უკანასკნელ კვირულში ადგილებიდან კავკასიის სტრიქონი ბულ განცხადება ფასი: სტრიქონი პეტრიტო ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 4 მ. 2 ს ა ა თ ს შ ე მ დ ე გ 5 მან.

სოციალდემოკრატიული საპარტიო და სალიბერალური გაზეთი.

გულამწერი მშობლები ნინა და სერგია მანარაძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შთაბეჭდილებას

**პატარა დუნუნას** გადაცვალება

დაკარგულა მონღოლი ოდასკურის ეკლესიის სასულიერო სამსახურის 17, კვირას, ნაშუადღევს 3 1/2 საათზე მიტვინიერების გამოხატულება საკუთარ სახლიდან ჭავჭავაძის ქუჩაზე. 11

მწუხარებაში მეთექვსმეტი დღით მათეს ძე გაბელაძე, ქალიშვილი მისი თამარა, ტერეზია ზეტრეს ასული ანდრეასისა, ნატალია კაკაბაძის ასული ტელუშისა, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ შიშველი შვილის, მორე ქმის, მე სამე დასწრის და უკანასკნელი ნათელის გადაცვალებას

**მინელი (მიმა) დავითის ძის** გაბელაძის, რომლის დასაფლავება მოხდება კვირას, 17 ივლისს, საფლავის სასულიერო გამოხატულება ბადახვანის ქუჩა, ტერეზია ანდრეასის სახლიდან ნაშუადღევს 4 საათზე 1-1

**ელექტრო „რადიუმ“** თეატრი  
სეთმათიდან, 14 ივლისიდან ნახევარი იქნება:

**ინგლისელთა ჯარი მოსკოვში**  
ბუნებრივი, სკალელების კომპეტენსია.

**ოქროს ოცნების სიზმარი**  
ფლორენტიელი ლეონი 4 ნაწილად მსახურად დადგმული კომიკის ფაბრიკისა, ქან სუსანა დევილი და ბან ტაღვას მონაწილეობით. მოქმედი სურათი ფერადობითაა შესრულებული.

**გადაცმულის თავგანსაჯალი.**  
სახუმარო.

**იკლავა იჯარით** ჩემ მყარ იჯარით აღებული

სადორის აგარაკზე **საფორმ** მიწა ორასი კვად. სკვენი, აქვე გაშენებულია ასი მირი კარგი ჯამის ნაყოფიერი ვენახი. ეზო ძალიან დობილია შემოკარგული.

**პირობების გავაზრდა შეიძლება 3. შარაძის სახლში.**

**აქიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტიკაში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჭკულის ექიმად მან ავითუიერების მიღება 1 ავგისტომის შესწავლა.

**აქიმი ი. ჩაბაძინი** ქალაქ. საავიტი-ყიფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავითუიერების მიღება დილით 12 1/2-2 საათ. საღ. 6-8 საათ. მიიღებს მხოლოდ განსა და ვენერიულ ავითუიერების.

მისამართი: ლეონოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135.

**დოქტორი მელიქიანი**  
პრივატდოქტორი  
**მ. მ. მონაძე**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სრულად დაღის 8 ს. ნაშუადღევს 2 საათამდე და საღამოს 6 ს. — 8 საათ. 2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

**აქიმი გააპიტილი**  
ზარბაზნ მინას.  
იკითხეთ „სამსხალე“ რედაქციაში.

**დ. ლ. ა. ი. ა. ი.**

**კბილის ექიმი**  
ანან პარკიანის ასული მანარიძე  
25 ივლისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაკაბაძის სახლში.

**აქიმი** ვაბრიელ იოსების ძე **გოგიანი**ს ელექტრონიკისა და სინათლის კამერის. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება: შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავითუიერების დილით 9-12 საათ. და საღ. 6-8 საათ.

მისამართი: ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**გამოცდილი განსაკუთრებული**  
სტუდენტი ამხადებს მოწაფეთ ვეულა სასწავლებლისთვის სკამისა-წილი ფასებში.

მისამართი: ვაზ. „სამსხალე“ რედაქცია.

**ვიყვან მოფაფივს** ვეულა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით ავითუიერების მკურნალებისთვის სკამისა-წილი ფასებში.

ნახვა დილით 8-საღამოს 6 ს-მდე. მისამართი: ქუჩა, სახლი დიმიტრის, სტუდენტი 244 ა. ს. თელავი.

**გეგია მ. მ. კახიანიძე**  
უცრის ყვავილს, უკეთეს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავითუიერების რჩევა-დარიგებას ოველ დროს.

ალექსანდრის ქუჩა, სკ. თელავის სახლი, ფაფიანის მადახის შირდაზი.

**ელექტრო „ამპირ“** თეატრი  
სეთმათიდან, 14 ივლისიდან ნახევარი იქნება:  
**გომონის პრონია.** მიმდინარე ამუბა.

**ნევის პროსპექტი**  
დრამა ოთხ ნაწილად ნ. ვ. გოგაძის მოთხრობის მიხედვით.  
**მხარეული ქალის შურისძიება.**  
სახუმარო.

**განცხადება.**  
სადგურ რიონზე **დავარბი** რედიკული, რომელშიც მქონდა მეტრიკული, მოწმობა სსუადსსუა ქალაქები და ათი მანეთი ფულად. მხოლოდ ვსთხოვ ფული მიიღოს და მოწმობები კი დამიბრუნოს, ძლიერ სწავლობა. ეოველ შემთხვევაში კიდევ სასწავლოს მიიღებს 10 მანეთს. ივლითა სიმონის ასული ტრიანა-ნესაბურთვსკაია.  
ადრესი: რედაქცია „სამსხალე“.

**მსოფლიო ომი.**  
**დაეუფი.**  
(მეტ. ღებ. საგ.)

**შაღალის მთავარსაგლის შაბანი-საგან.**  
**დასავლეთის ასპარეზი.**  
**პეტროზავალი.** 14 ივლისი. 3-12 ივლისამდე გენ. სახაროვის ჯარმა დაატყვევა სულ 34000-ზე მეტი გერმანელი და ავსტრიელი აფიცური და ჯარის კაცი, ხელთ იგდო 45 ზარბაზნი და 71 ტყვიის მფრქვეველი.

**კავკასიის ასპარეზი.**  
გამორკვა, რომ საბჭოების საწყობებში (საბჭოების ერძინჯანის ჩრდილოეთით 20 ვერსიითა) დაგოლა დაგვიჩა 5000 ხელის ყუმბარა, 1000-ზე მეტი ზარბაზნი ყუმბარა და 600 ყუთი თოფის ტყვია. ხსატახანთან ხელში ჩაივადეთ ერთი საავადმყოფო 300 კაცისთვის გამოადგებული, ერძინჯანში ხელთ ვივადეთ თოფის, რევოლვერის, ცვიი იარაღის და ზარბაზნის ტყვიების საწყობები; აგრეთვე ხელთ ვივადეთ 10000 ფუთზე მეტი ნავთი. ქალ. ერძინჯანი ხელ უხლებელია.

**ბალტიის ზღვა.**  
12 ივლისს ფინეთის ყურეს ვასავალი აბოს სამხრეთ საზღვარზე და ალანდის შხრებთან მტრის ცეცხლინმა საღამოს 6 ნახევარ საათზე 15-მდე ყუმბარა ჩამოავდო ნაპირზე და გემებზე. ზარალი არ ყოფილა. ჩვენ ზარბაზნები დაუშინეთ ცეცხლის და სახმრეთით მიიშალა.

მტრის 8 ჰიდროპლანში ჩვენ საზღვაო საპიერო საღვრს 1000 ყუმბარა ესროლა. ორი ჩვენი ჰიდროპლანი შეგება მათ და ერთი აიძულა ცეცხლოვადებული დაბლა დაშვებულიყო.

**დასავლეთის ასპარეზი.**  
**პეტროზავალი.** 15 ივლისი. ჩვენი ჯარი (?) მიმართულებით შეტევებს ვადვილა და ვარღვია ბრძოლის პირი, დამარცხა მტერი და ჩვენი ცხენოსანი ჯარი სდევნი. ჩვენ აქ ხელთ ვივადეთ 46 ზარბაზნი, რომელთაგან 6 მორტირაა, 6 ტყვიის მფრქვეველი და 50 აფიცერი. ამათში 9 გენერალია და 9 პოლკის უფროსი და 9000-მდე ჯარის კაცი. მდ. სალონიკის და გოლდუნოვკის ველზე მთელ ხაზზე მტრის დეაგენინეთ და ცხენით ბროდში ზარბაზნების ხმა ისმოდა და სანდა, როგორ იხვედნენ უკან მტრის დიდი ძალები, ქარავნებით. 6 საათსა და 15 წამს ჩვენ ავიდეთ (?) ტყვეთა რიცხვით და დავლის რაოდენობა. გამოურკვეველია.

**კავკასიის ასპარეზი.**  
მდგომარეობა უცვლელია.  
**პარიზი.** 15 ივლისი. დღის განმავლობაში

მაში ფრონტზე ძლიერი ბრძოლა სწარმოებდა, მტრის ჰაერობლანები განუწყვეტლოვ ვეიშენდენ.

**პარი.** ბელგიის ფრონტზე სრერესთან წერილობით შეტაკება ხდება. დანარჩენ ადგილებში სიწყნარია.

**ლონდონი.** საფრანგეთში ღამე წყნარად ჩაიარა.

**ლონდონი.** გერმანიის წყალქვეშა გემი ინგლისის სავაჭრო გემს თავს დაესხა და სროლა აუტეხა მგვრამ გემმა დროზე შეაფარა თავი ორნის კუნძულზე. კრევისთან (დასავლეთის ასპარეზი) ჩვენმა არტილერიამ ჩამოავდო მტრის აპარტი, რომელიც მტრისავე მიწა-წყალზე დაეცა. ბარანოვიჩის ჩრდილო აღმოსავლეთით და სამხრეთ აღმოსავლეთით სროლა და მოწინავე რაზმების შეტაკება გრძელდება. ჩვენ ზოგიერთ ადგილებში წინ წავიწვიეთ. ჩვენ თანდათან წინ მივდივართ სლონიოვკის და ბოლდუროვის მადამოებში.

**კავკასიის ასპარეზი.** კავკასიის არმიის წინ სვლა გრძელდება. სავსე შარა გზაზე ხელთ ვივადეთ 31 ოსმალი აფიცერი.

**კურნალ-გაზეთებიდან.**  
როგორც ვიცით, ოსმალეთის ბრწყინვალე პორტამ პალესტინა სიონისტებს მიყიდა, თურმე ამ მოვლენას ცული შთაბეჭდილება მოუხდენია ამერიკის რესპუბლიკაზე და ინგლისზე.

ქ. ბერესტენკო უკვე დაიპყრო რუსის ჯარმა, მცხოვრებლები ქალაქიდან არ გახიზულან.

იმპ. ვილჰელმი აღმოსავლეთის ფრონტზე წასულა.

ფრან-ინგლისელთა შეტევას ამ ვამად გერმანიამ უღიღეს ყურადღებას აქცევნ. ფრანგ-ინგლისელთა წინააღმდეგ 35000 კაცი ვივადებანა

რადოსლავოვს უთქვამს, რომინია შეთანხმების სახელმწიფოთ არ მივხრობომა

მოსკოვში მომხდარა პოლონელ ნაციონალისტთა დიდი ყრილობა ყრილობას დაუდგენია პოლონეთის საკითხისთვის ყოველ საქრო მასლის მომზადება და განხილვა.

12 ივლისს შავს ზღვაში კრესიერი „ბრე-

სლაუ“ გამოჩნდა, იგი ქ. ნოვოროსისკისკენ მოექანებოდა მაგრამ რუსეთის შავი ზღვის ფლოტილიამ უკუავადო.

ერზინჯანის რუსის ჯარის მიერ დაპყრობას, რუსეთის სატახტო გაზეთები დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას აკუთვნებენ.

იმპ. ვილჰელმმა ვილჰელმბერგის მთავარს ფელდმარშლობა უბოძა.

ენვერ ფაშამ ვილჰელმს დებეშით სთხოვა ერთი კორპუსი ჯარის მოშველება.

უკანასკნელ დროს კავკასიის ასპარეზზე ოსმალეთს 18 კორპუსი ჯარი ჰყოლია.

გერმანიის ვადაუწყვეტა ჩრდილოეთის ზღვაში განახლოს წყალქვეშა ომი.

ცარსკოე სელოში ვარდაიცვალა სახელმწიფო საბჭოს წევრი (ამორჩეული) გრაფი ი. ვ. სტენბოკ-ფერმორი.

როგორც ვაღმოვცემენ სექტემბრის პირველ რიცხვებში ბ. ვ. შტიურმერთან განზრახულია დიდი პოლიტიკური რაუტი.

სარწმუნო წყაროებიდან ვადაცხადებენ, რომ შინაგან საქმეთა და ოუსტაციის სამინისტროების შემადგენლობაში ცვლილება არაა მოსალოდნელი, ვარა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ვრაფ ა. ბობრინსკის სამსახურიდან ვასვლისა, რომელმაც უკვე განაცხადა ესა.

სავარეო საქმეთა სამინისტროში, როგორც ვაღმოვცემენ მოხდება შემდეგი ცვლილებანი: სავარეო მინისტრის კანცელარიის დირექტორი ბარონი შილონივი სტრუვეს თავის ადგილს. სავარეო მინისტრის ამხანაგის ი. ნერატოვის მავიერათ ინიშნება ჩვენი რწმუნებულები ოსმალეთში კამერგერი ბოკინი.

**სამხედრო მიმოხილვა.**

ამ რამდენიმე ხნის წინად ინგლისის ქვედა პალატამ მთავრობას ვანმარტება მოსთხოვა მესოპოტამიის სექსპედიციო კორპუსის უმუქველებების გამო და მთავრობამ იძულებული იყო მოთხოვნილება აესრულებინა. რამდენად დაკმაყოფილა იმ ვანმარტებამ ხალხის წარმომადგენლები ჩვენ არ ვიცით. მიუხედავად ამისა ეს საკითხი ჩვენთვის თავისთავად არის საინტერესო.

ინგლისელმა ხალხმა უფრო მეტი ვამპრობობა და შორხმედვლობა გამოიჩინა ვიღრე ინგლისის მთავარსარდლობამ. მიმოხილველებს არა ვერთხელ აღუნიშნავთ მესოპოტამიის სექსპედიციო კორპუსის სრული უსარგებლობა.

ესლა ყველასთვის ცხადია, რომ თანამედროვე ომი სულ სხვა პირობებში და სხვა საშუალებით სწარმოებს და დაძველებულ ხერხით ბრძოლა ამ ხანად ყოველად შეუსაბამო და გამოუსწორებელი შეცდომა იქნება

ინგლისის მთავარ სარდლობის აზრით მესოპოტამიის კორპუსს უნდა დაეხმარებოდა ოსმალეთის ჯარის ნაწილი, მაგრამ მათ დაევიწყათ, რომ ეხლანდელ ვანითარებულ ტენიკის წყალობით ადვილად შეიძლებოდა თვით ინგლისელთა ჯარის დახმარება. ეს ასეც მოხდა.

ოსმალეთს ვანუწყვეტლოვ შემწობას უჩენდა მალა ტენიკის მქონე გერმანია, რომელმაც ხელმძღვანელობა ვაუწია ოსმალთა მესოპოტამიის ჯარს და შედარებით მცირე ძალებით მოქმედების უნარი თითქმის სრულიად გამოაცალეს ამ ბოლო დროს.

შეგრევი.

# ომის ღლიუბრი.

**ალმოსავლეთის ასპარეზი.** ბალტიის ზღვაზე ფინეთის ყურეს გასავალში გამოჩნდა გერმანელთა ერთი ცუბელინი და 8 პერობლანი რომელიც 1000 მდე. ყუბმარა ჩამოვადეს. აქ რუსებმა ერთი პიდროლანი ჩამოვადეს. ბარანოვიჩის ალმოსავლეთით ბრძოლები გრძელდება. ლუცკის შიშართულეებით რუსის ჯარს კვლავ გაურღვევია ბრძოლის ხაზი და გერმანელ ავსტრიელთა ჯარს სდევნის. აქ რუსებს ხელთ უგდიათ 46 ზარბაზანი, 6 ტყვიის მფრქვეველი და დაუტყვევიათ 50 აფიცერი, მათში 9 გენ. და 9 პოლკ. მდ. სლანიოვიკისა და გოლდურვიკის ველზე რუსებმა ავსტრიელებს დაახევინეს და სდევნეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ოსმალებს ერძიჯანიდან გასვლის დროს ქალაქი არ დაუზიანებიათ. ერძიჯანის ახლოს რუსებს სხვა და სხვა სამხედრო მასალის დიდი საწყობები ჩაუგდიათ ხელში. და ტყვეები წამოუყვანიათ.

**დასავლეთის ასპარეზი.** პოლონების ჩრდილოეთით ინგლისელებს კვლავ წინ წაუწევიათ ოდნავ და 200 იარდის სიგძე სანგრები ჩაუგდიათ ხელში ესტრის სამხრეთით ფრანგებმა ოდნავ წინ წაიწიეს. ვერდენთან 304 ის სიმაღლესთან გერმანელებს მძლავრად აუმოქმედებიათ თავის არტილერია. დანარჩენ ასპარეზზე სარტილერია ბრძოლა.

**იტალიის ასპარეზი.** მთელ ასპარეზზე მთებში ჩვეულებრივი კერძო ხასიათის ბრძოლები სწარმოებენ.

## ქართული პრესა.

არავისათვის დამალული არ არის, რომ ჩვენმა გაზეთმა პირველმა მისცა საშუალება ქართველ ისრაელელთა თავისი აზრების გამოთქმისა და ქართველ ხალხთან დამოკიდებულების გამოკვლევისა

ამ უფლებებით ყველაზე უფრო ისარგებლა ონის რაბინმა ბ-ნმა ბაზოვიცმა და შემოღებისდაგვარათ აუხსნა თავის ხალხს გულის ნადები ქართველი ისრაელელებისა...

როგორც არა ერთხელ გამოგვიცხადებია, ჩვენს მიზანი იყო ქართველი ისრაელები ჩაგვება საერთო, საქართველოს კულტურული მუშაობაში და ამ მიზანს მივალწიეთ კიდევ.

ახლა გამომდგარა ბ-ნი მ. ხანანაშვილი და „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე გვისაყვედურებს და ასე გასინჯეთ ჩვენ ერთგულ მიმართულებასშიც კი ეჭვი შეიქმნა იგი სწერს:

„ჩვენ არ შეგვიძლია არ გუთქვათ ქუთაისელ გაზეთს „სამშობლოს“ რედაქციას, რომელმაც იმისავე წაგდებიათ რომ „ფართოდ გაუხსნა თავისი კარები“, ხელს უწყობს ქართველ ისრაელელთა შიშის სიონიზმის გავრცელებას“-აო.“

ჩვენ ჯერ არ ვიცით მართლა სიონისტია, თუ არა ბ-ნი ბაზოვიც, არც ის ვი-

\* ბ. ხანანაშვილის წერილს ჩვენ ამ დღებში სასვებით ვამოვებებდეთ.

## კველი „ინტერნაციონალი“.

წაიკითხეთ „ახალი კვალის“ №30-ში „გოლოს ტრ.“ (№1) დან გადმოგვიტლი „კონფერენციის“ დადგენილება და დარწმუნდებით, რომ ძნელია იმ კვლის გარღვევა, რომელიც ძველ რწმენას გარეშე სწერს და გარემოცავს.

სხვენებული დადგენილებანი მოწმობენ, რომ მუშათა ძველი ინტერნაციონალი კვლავ ცოცხალია, ჯერ არ მომკვდარა და თანამედროვე საერთაშორისო ომს მი სი ტრადიციული, ძველი რწმენა იოტის-ოდენდაც კი არ შეუტყვია

ამ საერთაშორისო ომში მუშები ცალკე უნდა იყვნენ, ბურჟუაზიულს, შეძლებულ კლასებს არ უნდა შეუერთდნენ, მათ თან ერთვის კავშირი არ უნდა შეეკრან, პირიქით, ბრძოლა უნდა გამოუტხადონ და თავისი კლასიური, პროლეტარული პოლიტიკა უნდა აწარმოონ. ერთი სიტყვით, ეროვნული ბრძოლის წილ — კლასთა ბრძოლა უნდა გააძლიერონ. ეს არის ამ დადგენილებათა დედა-აზრი.

მკითხველს ეკოდინება, რა ფანტაზიით იცადა ამ აზრს ერევა, დღეს, პირიქით, ეროვნული ერთობის თავგამოდებულ მომხრე და როგორი მკვეთრი ანალიზით ცხად ჰყო განსვენებულმა ყორესმა მისი უზადრუკობა.

და კონფერენციის კონფერენციას ჩვენ ყორესის სიტყვებითვე ვუბნებთ.

კონფერენცია ურჩევს მუშებს არ შეუერთდნენ ბურჟუაზიულ კლასებს. მაგრამ ეს ხომ უტოპია, განუხორციელებელი ოცნებაა! როგორ-ღა შეიძლება არ შეერთებაზე ლაპარაკი, როდესაც მუშები და კაპიტალისტები, გლეხები და მემამულენი, მოხელენი და მოქალაქენი ხელი ხელ ჩაიდებენ იბრძვიან ბრძოლის ველზე და ვის შეუძლია ჩაშლის, დაარ-

ციოთ იზიარებენ თუ არა ქართველი ისრაელები ბ-ნი მ. ხანანაშვილის აზრს (თუმცა ჩვენს რედაქციას უკვე მოუვიდა რამდენიმე მკაცრი წერილი მ. ხანანაშვილის წინააღმდეგ) — მაგრამ ვიდრე ყველაფერი გამოირკვეოდეს და შესაფერ პასუხს გავცემდეთ, ბ-ნი მ. ხანანაშვილს არ შეგვიძლია არ მოვავლით მას ქართული თქმულება:

— ობოლო, ვისა სცემო დაკითხვებიან ობოლს და მას უდიერად უპასუხნა:

— ჩემს გამზდელსაო: ასე მოსდის ბ-ნი მ. ხანანაშვილსაც.

ჩვენ პირველმა მივეციოთ საშუალება ქართველ ისრაელელებს მიტყვიეს თქმისა და ჩვენ პირველსავე ჩავგვრეს წიხლი... მაღლობაც ასეთი უნდა!..

## თვალთმავსოვა და კალდასანება.

განსაკუთრებით საბრალო ბედისანი არიან ევროპის ის პატარა ერები, რომელნიც ევროპაში დიდი სახელმწიფოების მეზობლად ცხოვრობენ.

განდიდების და სხვის ჩაყვანის სურვილით ალტყინებული ევროპის დიდი სახელმწიფოები ეკვეთენ ერთმანეთს. სულერთია რომელმა სახელმწიფომ ჩაგდო ეს მრავალი ქვეყნები თავის საბედისწერო და ხალხის წელში გამტებს ომში. ცხადია

ღვიოს ის ეროვნული ერთობა, რომელიც უკვე დაქტია!

საერთაშორისო ომის დროს რომ ერთი ეროვნული ერთობის უარყოფა შესაძლებელი ყოფილიყო, ომი არ იქნებოდა. და ომი მიტომ იყო შესაძლებელი, რომ თითქმის სახელმწიფოში სხვადასხვა კლასის ეროვნულ ორგანიზმად შეკრება, შეერთება, შენაწევრება მოხდა.

მაშასადამე, ის ფაქტი, რომ ომმა კლასთა ბრძოლა შეაჩერა და ეროვნული ერთობა შეა, ამტკიცებს ეროვნული იდეის უპირატესობას კლასთა წინააღმდეგობის პრინციპზე.

ისტორიამ უკვე თავისი სიტყვა სთქვა, თავისი უღმრთელი განაჩენი დაადგინა, რომლის უარყოფა უგუნურობა იქნებოდა.

დღევანდელი ომი საერთაშორისოა, ეროვნულია. ეროვნულმა იდეამ კლასთა ბრძოლა იმსხვერპლა და გუშინდელი მტრები შეაერთა. კონფერენცია ცდილობს ეროვნული ერთობის იდეა კვლავ გააქარწყლოს და ურჩევს მუშებს, ძველ გზას დაუბრუნდნენ და ძველი რწმენა განაახლონ. მაგრამ ისტორიის ბორბლის უკან დატრიალება შეუძლებელია-ღა.

საზოგადოდ, კონფერენციის დადგენილებანი შინაგანი წინააღმდეგობით სავსეა, აი, მაგალითად, ერთი მათგანი: პროლეტარიატი იბრძვის თავისი საბოლოო მიზნის განსახორციელებლად და ცდილობს იმავე დროს განათავისუფლოს კაპიტალიზმი მილიტარიზმის მძიმე უღლისაგან და ააშოროს მას სისხლის ღვრა.

ამიტომ ის ყოველგვარი ანექსიის წინააღმდეგია. ამიტომაც უნდა უარჰყოს მან ყოველგვარი ცდა შექმნის დამონებული ერებისაგან ახალი სახელმწიფოები, სახელით თავისუფალი და დამოუკიდებელი, ნამდვილად კი დამოკიდებული და უსიცოხლონი. პროლეტარიატი უარჰყოფს

ერთი რამ არის. სახელმწიფო ის, რომ ყველა დიდი სახელმწიფო მოწინააღმდეგე იყო ანგარში გაესწორებია მოწინააღმდეგისთვის. გერმანიის სურდა მის გაძლიერების შემზარველი ინგლისისთვის ზღვაზე პირველობა წაერთმია, ინგლისელებს ძლიერი მეტოქის მოშორება სურდათ, ავსტრიას — ურჩი სერბეთის დასჯა, საფრანგეთი 40 წლის განმავლობაში გაიძახოდა: „ელზასისკენ“-აო, იტალია კი ტრენტინოზე ოცნებობდა.

ამან გამოიწვია ომი; თანამედროვე ომის მიზანი სახელმწიფოების გაღვიძებელი მად იყო და არავითარი „წინააღმდეგობის“ შესრულება არაფერია არ უტყვირთნია. რამდენად ფუჭი იყო ამა თუ იმ მეომარ სახელმწიფოს განცხადება, ვითომ მის დაჩაგრულ ერთა განთავისუფლება სურდეს, აშკარა იმ გარემოებიდან, რომ სწორედ ომის განმავლობაში განადგურდა რამდენიმე პატარა ერი და მოესპო თავისუფლებები

პატარა ერებს არავითარი სურვილი ომში ჩაგვისა არა ჰქონიათ და ან რა უნდა რგებოდათ, როდესაც დიდ სახელმწიფოებიც კი ვერ დაკმაყოფილებულან. მიუხედავად ამისა თავიდანვე დიდმა სახელმწიფოებმა ძალი დაატანეს პატარა ერებს ომში ჩარეულიყვნენ. და ამ შემთხვევაში მუქარას ქდა მის გაქვირებაში ჩაყენებასაც კი არ ერიდებოდნენ. ასე ჩაეზნენ ომში ბელგია ბულგარეთი, პოლონეთი და სხვა.

სერბეთი კი თავიდანვე ომის საბაბად გაიხადეს და საქვეყნოდ გამოაცხადეს, სერბეთის განადგურება სწადათ ჩვენ მოწინააღმდეგეებს და ამიტომ გამოუტყადეთ მას ომიო. რა უშუი იყო აქ საწყალი სერბეთი, როდესაც ევროპის დიდი სახელმწიფოები 40 წლის განმავლობაში კბილებს იღესგანდენ ერთმანეთზე. ვინ არ იცის, რომ სარაევოში მომხდარი მკვლელობა ლამაზად შესრულებული თვალთმავლობა იყო, რომლითაც დაფარეს ომის ატების ნამდვილი სურვილი და მიზანი.

ხალხს ჯერ კიდევ არ დაეწეებოდა გერმანიის მიერ ბელგეთის მიწაწყლის ხელშეუხებლობის დარღვევა, რომ მოკვდა შირეგება საჩერძეთის მრავალი კონძული დაიკავეს და სალონიკში ჯარი გადასხეს. არ იკმარეს ეს და ახლა პოლანდის მიწაწყლით უნდადოთ სარგებლობა, ეკადნენ ჯარის გადსხმას, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდა, პოლანდია დროზედ მიიღო საჭირო ზომები

პატარა ერები მასალათ გამოიყენეს ომისათვის, არავითარ მათ მოთხოვნილებას პატივს

ანექსიებს რომელნიც ეროვნებათა დანაწილებასა და სხვა სახელმწიფოებთან შეერთებას თან-შეეწვიან და ერთა და სახელმწიფოთა შორის მტრობასა და უთანხმოებას დაიბრუნებენ

მაგრამ ყველა ანექსია ხომ ერთი არ არის. მაგალითად, პოლონეთის ყველა ნაწილის რუსეთის ხელში თავმოყრა პოლონეთის ეროვნულ გაერთიანებას მოასწავებს ხორავტიისა და მოსნიავტიკოგოვიჩის სერბისთან შეერთება — სერბის სხვადასხვა ნაწილის ერთს ეროვნულ ორგანიზმად შეკრება იქნებოდა ლაზისტანის რუსეთთან შეერთება კი ქართველი ერის მთლიანობის აღდგენა იქნებოდა.

ორში ერთი უნდა ვიფიქროთ: თუ კონფერენცია ეროვნებათა დანაწილების წინააღმდეგია, ამგვარ ანექსიებს არ უნდა უარჰყოფდეს. და, თუ პირიქით, იმგვარ ანექსიებს, რომელნიც ეროვნებათა ერთად შეერთებასა და შენაწევრებას მოასწავებენ, უარჰყოფს, მაშინ ის ეროვნული საკითხის გადაწყვეტაზე უარს ამბობს და ხელს იღებს და, მაშასადამე, საერთაშორისო მტრობისა და უთანხმოების წარმოშობის მიზეზის აღმოცენს არა ცდილობს.

კონფერენციას არა სწამს აგრეთვე საერთაშორისო უფლება და სამართალი და მთელ თავის იმედებს მხოლოდ „მომაველ საზოგადოებაზე“ ამყარებს, რომელსაც კერძო საკუთრება აღარ ექნება საფუძვლა.

მაგრამ ეს ხომ უკიდურესი უარჰყოფაა, პენიზინია? მომავალი სოციალისტური საზოგადოება — უტოპიაა. ცარიელი ოცნებაა, რომელიც მხოლოდ მეტრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სწამდათ გულბრყვილოთ. და, თუ კაპიტალიზმის ბედი ამ განუხორციელებელი უტოპიაზე და მოკიდებული, მას ომი და სისხლის ღვრა ყოველთვის იქნება. უდიდ ნუგეზია:

არა სცემენ და პირიქით: რაკი ვერა სძლიეს ერთმანეთი, ევროპის ბაუბაყ მღვევებმა პატარა ერებს დაუწყეს ყლაპვა, რათა ამით მაინც დაარწმუნონ ქვეყნადომნი თავის გამარჯვებაში და ძლიერებაში.

კატონ კონასიაე

## მილოცვა.

**ბ.ბ. თომოვილი იხსნს ამ ხუსკივამს.**  
ჩვენო მშვიდო მუშაკო... გიდგენი გულ-წრფელ სალაშს და გილოცავთ თქვენ 35 წლის სამწერლო ასპარეზზე ნაყოფიერ მუშაობას. ვისურვებთ ტკბილი ცხოვრებით ხანგრძლივ სიცოცხლეს. ელვადა ჩიქოფანის-ასუღ მარშანასა. და ოქმშირე.

**თომოვილი ხუსკივამის სამწერლო ასპარეზზე 35 წლის მოღვაწეობის შესახებამის გამო.**  
გულ მხურვალედ გილოცავთ სამშობლო ლიტერატურის წყნარო და დაუღალაო მუშაკო ძვირფასო თეოფილე თქვენი ნაყოფიერ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებას.

მსატყარი დ. ისაკაძე.

## ახალი აზრები.

დღეს 17 ივლისს მთავარ ანგლოზის ეკლესიაში წირვის შემდეგ დანიშნულია პანაშვიდი კავსიის მუშებში და ნოქრე-ბში კარგათ ცნობილ მელიტონ ბერიშვილის სულის მოსახსენებლად, გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო.

დღეს 17 ივლისს შუადღის 12 საათზე ქალაქის გამგებობაში ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით დანიშნულია ქუთაისის ნოქართა კრება თავიანთ ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად მისალაპარაკებლად.

ჩვენ გაზეთში აპას წინად გამოცხადებული იყო, ქუთაისის ქართულ გიმნაზიას მოუვიდა მოწერილობა იმის შესახებ, რომ ჯარში გაწვეული იქნება ის მოწაფენი, რომლებიც დაიბადნენ 1899 წელს. გიმნაზიის გამგებობამ უკვე შეადგინა სია ასეთ მოწაფეთა სულ აღმოჩნდა 41 მოწაფე, უმეტესად მე VI და მე VII კლასისა.

სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის მოსაწყვეი მეთოდური კურსები გადაიღო 7 ავგისტოსათვის

სამომავლოდ წერილ კრედიტს, გუშინწინ მოუვიდა ორი ვაგონი შაბაბანი. დანარჩენიც ამ მოკლე ხანში მოე-

ომი — კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის შედეგად, აღიარებს კონფერენცია. მართალია, მაგრამ კაპიტალიზმიც ევოლუციურად განიცდის და ის, რაც შეუძლებელია დღეს, შესაძლებელი იქნება ხვალ. მართალია, ერთი მხრით, ხალხის შეგნების თანდათანობითი ზრდასა და, მეორე მხრით, სახმედრო ტენიკის განვითარების გამო — ახალი ომის წარმოშობა შეუძლებელია იქნება. და ომს მართა პროლეტარიატი კი არა, არამედ შეძლებული კლასები წინააღმდეგებიან. სწორედ ეს არის მომავალი საუკუნო ზავის თავმდები.

კონფერენცია უარჰყოფს პაკიფისტების მოთხოვნილებათა და აღიარებს, რომ საგარეო პოლიტიკაზე დემოკრატიის ზედამხედველობაც კი ვერ დაამყარებს მუდმივ მშვიდობიანობას, ვიდრე დღევანდელი ბურჟუაზიული წესწყობილება სოციალისტურად არ შეიცვლება.

მაშასადამე, კონფერენცია უარჰყევს მუშებს უარყოფს სწორი, რეალური გზა და ილაუნიებს გამოუღვენ.

პაკიფისტები დღესვე, დღევანდელ სოციალურ პირობათა შორის ცდილობენ წართვან საფუძვლი ომს, ერთი მხრით, საერთაშორისო სამართლისა და, საზოგადოდ, საერთაშორისო უფლების განმტკიცებითა და, მეორე მხრით, სახელმწიფოებრივი წესწყობილების გადმოკრატებით. გახალხოსებით. და მათს სწორ ფვას მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ პირდაპირის, სწორის, ნამდვილი გზით ცდილობენ მიუახლოვდნენ და მიაღწიონ მიზანს

მართალია, ამ ომმა ცხად ჰყო, რომ, შემდეგ როდესაც სახმედრო ტენიკა კიდევ უფრო განვითარებული და განმანადგურებელი იქნება, მილიტარიზმით თავბრუ დასხმულ კაპიტალიზმს ცნობა და უბრუნდება და მეომრული გუნება მშვი-

ლიან. ფუთი შაბაბანი მათ 30 შაბაბანდე დაუჯდათ:

გუშინწინ ქუთაისის გუბერნატორი დილის მატარებლით ქუთაისში ჩავიდა. გზაზე თავის მოლოცობით მოლოცა ქუთაისელები.

ქუთაისის ვითა კლასიკურ გიმნაზიაში მისაღები თხოვნები მიიღებია მხოლოდ 10 ავგისტომდი.

მტვერის გადაწყველ მეტაქეთა ნაკლულობით ქუთაისის მეცხოვრენი დიდ გაქვირებას განიცდიან. ერთი და ორი თვის მტვერისა და ნახვეტის გადაყრას ვერ ახერხებენ. ამიტომ არის რომ გააქეთ მათ მტვერი და ქუჩებში უყრიან.

15 ივლისს დამის 12 საათზე მიხვილ ჯინორიძის ეზოში შეიპარენ ქურდები და მოიპარეს ხარები.

კვირას 17 ივლისს სოფელ გუმში ზალიკო ჩიხლაძის ინიციატივობით და სკენის მოყვარეთა მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „დღეს და შვილი“ ო. ქავკავაძის და „უბედულრი დღე“ ერთ მოქმედებათ ვ. ბალანჩივაძისა.

ქუთაისის საპარკიმანტროში მომუშავენი ჩვიან თავის უმწყო მდგომარეობაზე, დილის ექვსი საათიდან დამის თერთმეტ საათამდის მუშაობენ, ზოგი საპარკიმანტროს მუშები ვერც კვირა დღეობით ისვენებენ.

კვირას 17 ივლისს სოფელ როხში ვ. ჩიქვაძის მონაწილეობით გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება „უბედული დღე“ ერთი მოქმედებად ვ. ბალანჩივაძისა და „დამარცხებული“.

ქუთაისის თეატრის შეკეთება დასრულდება ამ მოკლე ხანში.

თან. აზრ. ცნობით: სტ. გრ. ხერხეულიძე და შემდეგ თავის თავისთვისაც მოუღია ბოლო.

## უბედურებისკენ.

დღეს ყველასთვის ნათელია, რომ ჩვენი სოფელი მიმდინარე უმაგალითო მსოფლიო სისხლის ღვრამ მეტად უკიდურეს და აუტანელ პირობებში ჩააყენა.

ომისგან გამოწვეული სხვადასხვა მწარე მაგალითების გარდა ჩვენს სოფელს ამ უკანასკნელ დროს კიდევ ერთი მომაკვდინებელი უბედურება დაატყდა თავს, როგორც ვიცით სახმედრო უწყებამ მთელ იმპერიიდან ჯარში გაიწვია „წითელი და ლურჯ ბილითებიანი“ 43 წლამდე. მათი სახმედრო სამსახურში გაწვევა პირდაპირ დაუბრუნებს გზაზე წაიყვანს ჩვენს

დომის მოყვარეობის გუნებად შეეცვლია. შეუძლებელია აგრეთვე გავიხაროთ კონფერენციის აზრი, ვითომ ომს მართა გაბატონებული კლასები ქმნიდენ და აწარმოებდენ.

მართა გაბატონებულ კლასებს რომ მოგნდომებიათ და ხალხს მათთვის მხარი არ დაუქირა, ომი არ იქნებოდა. და, როდესაც მართა გაბატონებულ კლასებს ბრალს სდებენ, ეს, ჯერ ერთი, უსამართლობაა და, მეორე, ამით ომის ღრმა, ფარული მიზეზი — ეროვნული — ისტორიული ურთიერთობა — იმალება და არა ჩნდება:

მაშასადამე, ქეშმარიტებაა, რომელიც უთუოდ უნდა გამომხურდეს და სიონი შეიქნეს, თუ გვსურს ომის მიზეზი ძირიანად ამოვარდეს და აღიხოსოს.

დიად, როდესაც ამ სისხლის წვიმების დროს კონფერენცია გვეუბნება, ეროვნული საკითხი დივიფიკეთ და კლასთა ბრძოლა განახლეთო, ჯერ ერთი, მისი ჩრევა დარჩება ხმად მალაღებელისა უდაბნოსა შინა და, მეორე, მისი სიტყვისთვის რომ ყური გვეგდო, ხომ ყური უნდა წაგვეკრულებოთ ეროვნული საკითხისათვის, რომლის გადაწყვეტაშიც და გადაუჭრელიადაცა უმზს ომს.

მაგრამ ძველი გზით სლვა შეუძლებელი-ღა. დღევანდელმა საერთაშორისო ომმა ძველ ინტერნაციონალს წესი აუგო და ჩილილის წყალს ჩააბარა. ძველი, ტრადიციული რწმენა და თვალთახედვა კვდება და ახალი გზები და პერსპექტივები აღმოჩნდნენ. და კაპიტალიზმი ძველ გზას აღარ დაუბრუნდება.

დასასრულ, ორიოდ სიტყვით ანექსიების უარყოფის ტაქტიკასაც შეგვხვები. როგორ, რა გზით შეუძლია პროლეტარიატს დაიყოლოს მტერი უანექსიო ზავზე? მტერს რომ შენი პირობა მიაღებინო, უმეტესოა, ჯერ უნდა დაამარცხო, მაგრამ,



საქართველოში სოფელს. წითელი და ლურჯ ბილითანების გაწვევის შემდეგ სოფელში დედააკაცებისა და 16 წ. ბავშვების მეტი არაფერია რჩება.

ვინც იცნობს ჩვენის სოფლის მამა-პატარა წესით წარმოებულ მეურნეობას, იგი ნათლად წარმოიდგენს, რომ სოფელს ახალი დიდი უბედურება მოეცა...

საერთო დამშვივა, ავადმყოფობა სიკვდილი. აი ჩვენი სოფლის მომავალი საშინელი სურათი.

რასაკვირველია ჩვენ ანგარიშს უწყვეტ იმ გარემოებას, რომ ხსენებული გაწვევა საერთოდ მთელ იმპერიას ხდება და მამა-სადამე ჩვენი ქვეყანა გამოანაკლისად ვერ დარჩება, მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ის უდიდესი პირობები, რომელიც ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებულს მდგომარეობაში აყენებს.

საქართველო, მეურნეობის ქვეყანა და როგორც ზემოდ ვთქვით, აქ მეურნეობის წარმოება დღესაც პირველ ყოფილ წესით მიმდინარეობს ე. ი. დამყარებულია ცოცხალ ძალაზე, მხოლოდ რუსეთის მეურნეობა კი ბევრად წინ უსწრობს ჩვენს მეურნეობას და ამასთანავე ამ ბოლო დროს რუსეთში ჯარში გაწვეულთა მაგივრად სასოფლო მეურნეობის საქმეში სამხედრო ტყვეებს ამუშავებენ რაც დაღუპვას აშორებს რუსეთის შიდა გუბერნიების სოფელს და მის მეურნეობას ჩვენი სოფელი კი, როგორც უკვე ვთქვით წითელი და ლურჯ ბილითანების წაყვანის შემდეგ მთლად უწყალო ბედის ანაბარათ რჩება: ჩვენ აღდგენაზე, რომ რუსეთის მთავრობა ვლადიკავკასიაში ანგარიშში გაუწიოს ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ პირობებს და მას არ უნდა გამოაცალოს უკანასკნელი საწარმოო ძალა

იშორებს თავის საუკეთესო შვილებს, და ისინი ტუჩზე ღიმილით ეგებებიან სიკვდილის ცივ სახეს.

რა არის მიზეზი? რისთვის ხდება ყველა ეს? აშკარაა, რომ რუსის ინტელიგენცია ვერ იცნობს ქართველობას, ველურს ეძახის მას და არ არის დაინტერესებული შეიგნოს, და შეისისლ-ხორცის სულის კვთება ჩვენი მრავალ ტანჯული ერისა. ამის მაგალითი აუარებელია: აი თუნდ კუპრინის „თავადი ნიჟარაძე“, რუსთველზე უკბილო ოხუნჯობა, რაზე-დაც პასუხი გასცა პარტიკულარმა დრამატურგმა ბ. შიუკაშვილმა, ეხლახან ერთ რუსულ ჟურნალში მოთავსებული იყო სასამართლოს პროცესი ექიმ კოსტავას რომელიც რომანიულ ნიღაბზე მოქცეულა ახალ-გაზრდა ქალი. თავისთავად ეს მოვლენა საზოგადოებას, მაგრამ განა ერთი კაცი საზოგადოება მთელი ერისა? მართალია ზოგიერთმა შეგნებულმა პირმა არ მიაქცია ყუ-რადღემა კოსტავას ტომობას. მაგრამ განა საკმარისი არ არის, რომ რამდენიმე კაცი მისი საქციელი საერთოდ კავკასიელთა ველურობით ახსნას? კოსტავა კავკასიელია რუსეთის ინტელიგენციის ისიც ავიწყდება, რომ კავკასიელი არის ქართველი, სომეხი, ჩეჩენი, ოსები და სხვა. ბ.ნი კოსტავა ნამდვილი ქართველია ტომობით, მაგრამ როგორც ჩამდენი მკვლელობისა ის არც ერთს ერს არც ერთს ტომს არ ეკუთვნის რადგანაც ეს შეგნო ჩაედინა ყველა ერის შვილსა. მაშ თუ კოსტავას საქციელს კავკასიელის ველურობით ახსნით, მაშინ არცაა მისი რენოტეის გიმიტი რომელიც ცოლს სიკვდილს მოუხაო (ეკვიპონის გამო). კავკასიელი ყოფილა თუ ერთი კაცის საქციელი მთელი, ერის ზნე-ჩვეულების გამოხატველია, ზემოხსენებულ მწერალ არც ბაშევის „სისინას“ მიხედვით მთელი რუსეთი სანინებით ყოფილა სახეს!...

მაგრამ როგორც ვთქვით ყველა ეს ჩვენი ცხოვრება ზნე-ჩვეულების უცოდინარობით აიხსენება მეტყველი: ეს ამავეი ძველის ძველიაო შეიძლება ასე იყოს მაგრამ ჩვენთვის კი ეს მარად ახალი იქნება და მანამდის ვიდრე თვით ჩვენ არ დავავალდებოთ რუსეთის ინტელიგენციას გაიცნოს ჩვენი ცხოვრება, იგრძნოს, რომ ჩვენ კულტურით რუსეთზე დაბლა არ ვდგავართ და ჩვენს ერს ძალა შესწევს თავისი ბედის ბატონი პატრონი თვითვე გახდეს.

ლ. ი. დიდიძე.

### ძველი, მაგრამ მარად ახალი.

საქართველოს დღევანდელ ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წამებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მუშახელის სიღიწროვე, სანოვანის უტანელი ფასები, ჩარჩების თავისუფალი თარეში მიმემაჯღალაუნად დაწვა გლეხობასა და მშრომელ ხალხს. ქართველი ვერ თუ დამარცხე, მაშინ ხომ გამარჯვებული მხრის დიპლომატია—პროლეტარიატის დაუკითხავად—ანექსიას, ე. ი. ახალი ტერიტორიის შემოერთებას, მოიწოდებდა? ამიტომ, ის ლოზუნგი, რომელიც კონფერენციამ წამოაყენა და მეთამარსებულ-მწიფეთა ზოგიერთმა სოციალისტურმა ჯგუფმა გაიზიარა—„ზავი უანექსიოდ“—ცალიერი, უმნიშვნელო, განუზოროცილ-ბელი დეკლარაციის მეტი არა არის რა.

ამგვარად, ჩვენი ფიქრით, ძველი, პროლეტარული, ინტერნაციონალი ახალ, დემოკრატიულ, ინტერნაციონალად უნდა შეიცვალოს და ძველის, ვიწრო, კლასიური ბრძოლის მხოლოდობისა და განკალკეების ნაცვლად ახლის, ეროვნულ-დემოკრატიული ერთობის იდეალი უნდა იქნეს აღსარებული.

მეტადრე ომისა და მშვიდობის საკითხშია აუცილებელი ეს ერთობა, რადგან ომი ბურჟუაზიასა და პროლეტარს, მდიდარსა და ღარიბს, მოხელესა და მოქალაქეს თანასწორად აღხვრავს. უმძველია, ომის შემდეგ ომის უარყოფელი მიმართულება ყველა კლასს, ე. ი. მთელ საზოგადოებას, გარეშეიკრებს. და სწორედ ეს არის თავმდები, რომ მომავალში ომი აღარ იქნება.

და განვიმეორებ: განაწილება და განხეთქილება მაშინ, როდესაც საზოგადო ძალთა შეკრება და შენაწევრება აუცილებელია, დიდი ცოდვა და ვერავითარი დიდი სოციალური სამიხედელი ვერ გადაწყდება, თუ რომელიმე ერთი პარტია გაბატონების მოინდომებს და მთელი ერთი იდეალის გარშემო არ შეიკრებიან და არ შეერთდებიან.

გასილ წერეთელი.

### „დანგრეული სახლი“.

მეტად გასაოქარ სურათს წარმოადგენს რუსეთის ცხოვრება და საზოგადოებრივი მიმდინარეობა.

სხვადასხვა არაჩვეულებრივ მოვლენათა შორის დღეს დიდ ყურადღებას იქცევს ის „ცვლილებანი“ რომელიც მოხდა და ხდება მშარველ წრებში.

ყველა ეგონა, რომ ის „ხალხოსნური სურვილები“ რომელიც 17 ოქტომბრის შემდეგ ცხოვრების განსახლებლად ძვეს, ხორცს შეისხამდა მაგრამ, სამწუხაროდ, სულ სხვა გვარ ნიშნებს ვხვდებით.

ძველი რუსეთის წევრები სისწრაფით ამოქმედდნენ.

მათი მოძღვრება: „ძირს ყოველივე ხალხისწერი, ყველაფერი ჩვენს ხელში უნდა შევბოკოთო“. ამას წინად რუსეთის მშარველ წრეებიდან გადააყენეს საგარეო საქმეთა მინისტრი საზოგადოებას.

თავისთავად ამ ფაქტს სხვა დროს შეიძლება ყურადღება არ მიექცია, მაგრამ საქმე სულ სხვა მხრივ არის საინტერესო. საზოგადოევი ეს ერთად ერთი კაცი იყო, რომელიც საზოგადოებრივ აზრს ანგარიშს უწყევდა.

მან პოლონეთის საკითხი საერთაშორისო საკითხად აღიარა და დაზარალებულ პოლონეთისთვის მიხვდა მოითხოვა.

აქ მისი ქცევა არ მოეწონათ ძველ რუსეთის „წევრებს“ და კიდევ თავს დაესხნენ. დღეს საზოგადოება გადაყენებულია.

რადაც შიშის მომლოდინე რეაქციონერებმა მთელი სახელმწიფოებრივი ძალა ხელში ჩაიგდეს.

### ა. ა. მაკაროვი.

იუსტიციის მინისტრად დანიშნული სახელმწიფოს საბჭოს წევრი ა. ა. მაკაროვი დაიბადა 7 ივლისს, 1857 წელს. როდესაც დაასრულა პეტროგრადის უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი ის შევიდა სამსახურში პეტროგრადის საოლქო სასამართლოში, სადაც ის დანიშნეს კანდიდატად. 1897 წელს მაკაროვი ინიშნება მოსკოვის საოლქო სასამართლოს პროკურორად. 1899 წელს, მაკაროვის ინიშნავენ კიევის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთ, 1901-ში კი—სარატოვის სასამართლო პალატის პროკურორად. 1906 წელს მაკაროვი უფროსი თავმჯდომარე ხარკოვის სასამართლო პალატისა, ის ერთი წლის შემდეგ ინიშნება შინაგან საქმეთა მინისტრის ანაზაფით. 1908—1909 წწ. განაწილებაში მაკაროვი ითვლებოდა იმ კომისიის თავმჯდომარეთ, რომელიც ამუშავებდა პროექტებს პირადობის შეუხებლობისას, და სხვა.

1909 წელს ინიშნება სახელმწიფოს სეკრეტარათ, ორი წლის შემდეგ კი, 1911 წელს, სექტემბერში ბ. ა. სტოლიპინის გარდაცვალების შემდეგ მაკაროვის მოუწოდეს დაეკავა ადგილი შინაგან საქმეთა მინისტრისა, რომელიც მას ეკავა 1912 წლის დამლევამდის, როდესაც ის დანიშნეს სახელმწიფო საბჭოს წევრად.

მაკაროვის განკარგულებაში ხშირად არ მოსწონდა სახელმწიფო სათათბიროს. სხვათა შორის მაკაროვის მშარველობის დროს მოხდა ლენინის ახმები, რომელიც გამოიწვია ს. მანუჩინის რევოლიუცია და შეკითხვა სახელმწიფო საბჭოში. აღმინისტრაციულ მოქმედებებზე, რომლის ტრეზნეკოვის მეთაურობით, ლენინს არეულობის ჩასაქრობათ, როდესაც სახელმწიფო სათათბირო შეეკითხა მაკაროვის, ამის შესახებ მაკაროვმა მისცა ცნობილი პასუხი: „ასე იყო, ასე იქნება“. სახელმწიფო საბჭოში ა. მაკაროვი მიემხრო უკიდურეს მემარჯვენეთ და დებულებად მხურვალე მონაწილეობას მათ მუშაობაში.

### მარცვა-გლეჯის გამო.

რუსეთის იმპერიაში ცხოვრების გაძვირება გაძნელება უკიდურესობის წერტილს გადასცილდა...

მცხოვრებთა ის უდიდესი ნაწილი, რომელიც საშინელის სახით განიცილდა ამ გაძვირება-გაძნელებას იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში აღვლევებული მივარდა დიდ საეკროებს, გულის საეკრებლათ მტკრევა დაუწყო და საქონელი დაიტაცა ასეთ არა სასურველ მოვლენას ჩვენს ევროპულს ვერ დაუქვრთ მხარს, რადგან იგი სრულიად არ მიგვაჩნია სიძვირესთან საბრძოლ იარაღათ, მაგრამ აქ გვინდა აღვნიშნოთ საქმის ერთი მხარე.

მომხდარ „პოგრომების“ დროს აღშფოთებულ დედაკაცებს

### ბატარა ფელეტონი.

თ ბ ი ლ ი ს ი.  
(შთაბეჭდავებისა).

მე წამიკითხავს ქართველის ცეცხლის არსების სისხლით დაწერილი წითელი სტრიქონები თბილისის შესახებ.

უნაგრო ქართველის სევდის ბურჟუას ცივ ტალღებში მცურავი სულის წრფელ ძახილს და ნაღლიან ლაღადის ვკითხულობდი მე სისხლით დაწერილ სტრიქონებში „თბილისის ქართველებს არ ეკუთვნის“ ვკითხულობდი მე. „ჰა, ძმა, ქართველებმა დაპარგეს თბილისი“ მგნობდა გამუდმებით ყოველგან, ყოველთვის.

...და ეგ საშინელი სიმწარით და გესლით აღსავსე სასტიკი სიტუებები მტრის მოშამულ ისარივით ჰკოდავდა ჩემს ჰაბუკ არსებას... საშინელ ტკივილებს გვტანობდა... წყლულის გასაკურნავად წამალს ვერსად ვპოულობდი.

„ქართველებმა დაპარგა თბილისი“—დედა ქალაქი ციური თამარისა. პატარა, მაგრამ მრავალფეროვანი, გრძნული სამშობლო—საქართველოსი, რომლის ღია ყვავილოვან კალთაზე იშვენ: შოთა, ბარათაშვილი, ილია და აკაკი.

შორეულად, სევდიანობით მავალს მარად თვალწინ მდგა თბილისის სახის სურათი, სურათი ოცნებით შექმნილი და ანთებული გავიძახდი ვინ ვინ წაართვა თამარს სამშობლო მისი? ვინ მოსტაცა შოთას მამული მისი? ვის აქვს უფლება ხელიდან გამოსტაცოს მომავალ ახალ, ცოცხალ ძალას, ნორჩ, მოზარდ ახალგაზდობას მიწა მშობელი და აღმზრდელი? არავის ამ ქვეყნად, იძლევა მტკიცედ პასუხს სული ჩემი და დროგამოშობით ნათელი, პირმცინარე შორეულ მომავლის ელფეროვან სურათის წარმოდგენა იმედის სხივთა ცეცხლის ძლიერებით აქარწყლებდა შავ მანდილს სევდიან ფიქრებისას, რომელიც წუთიერი სიტუებების განცდათა ტბილ წამებს მიხზობდა!...

დღეს თვით დავლ თბილისის მღელვარე ქუჩებზე.

დავალ მარტოკა მშობელ ქვეყნის დედა ქალაქში და მარტოობაში ჩვეული ვათვლიერებ ყოველ კუთხეს, ყოველ მიდამოს მრავალ ფეროვანს...

დავალ მარტოკა და „ჩემს სამშობლოში ვეძებ სამშობლოს“, მაგრამ ამათა ცდა ჩემი... ვმზერ ცხადდ უნაყოფოა ძიება ჩემი.

არსთა ყოფნის ჩქარ სობოლაში მრავალი რამ განადგურებულა, გამქრალა, მრავალი ცვლილებანი მომხდარა... მე ვგრძობ, მე ვხვდებ ამას...

საშინელი სურათების ხილვითსევდიანი გული ჩემი გული რომელიც ჰაბუკობის ცეცხლით ანთებული საქართველოს ნათელ მომავალზე ფიქრობენებით სულდგმულობს მღმდევ.

მწირსავით დავალ ანთებულ და მოვლვარე ელექტრონებით შუქთა ზღვის მოცახცხე ტალღათა შორის

და ურადღებით ვუძებ ვრ, ვათვლიერებ ყოველივეს შენობას მალაზიებს საკრებულოებს ბაღებს...

„მიხარ, მეგობარო, ქართველის არის ავ ის შენობა რომელიც ჩვენს პირდაპირ მთასავით აღმართულა?“

ვეკითხები გამვლელ უცნობს დიდის ბოდიშით „ქართველისო? ქართველს ვინ მისცა თბილისში ასეთი შენობა?“ მაძლევს პასუხს უცნობი ცივირის ღიმილით.

„ან აი ჯერ, მარჯვნივ, მთელი რიგი

ნაგან საქმეთა მინისტრისა, რომელიც მას ეკავა 1912 წლის დამლევამდის, როდესაც ის დანიშნეს სახელმწიფო საბჭოს წევრად.

მაკაროვის განკარგულებაში ხშირად არ მოსწონდა სახელმწიფო სათათბიროს. სხვათა შორის მაკაროვის მშარველობის დროს მოხდა ლენინის ახმები, რომელიც გამოიწვია ს. მანუჩინის რევოლიუცია და შეკითხვა სახელმწიფო საბჭოში. აღმინისტრაციულ მოქმედებებზე, რომლის ტრეზნეკოვის მეთაურობით, ლენინს არეულობის ჩასაქრობათ, როდესაც სახელმწიფო სათათბირო შეეკითხა მაკაროვის, ამის შესახებ მაკაროვმა მისცა ცნობილი პასუხი: „ასე იყო, ასე იქნება“. სახელმწიფო საბჭოში ა. მაკაროვი მიემხრო უკიდურეს მემარჯვენეთ და დებულებად მხურვალე მონაწილეობას მათ მუშაობაში.

### ბატარა ფელეტონი.

თ ბ ი ლ ი ს ი.  
(შთაბეჭდავებისა).

მე წამიკითხავს ქართველის ცეცხლის არსების სისხლით დაწერილი წითელი სტრიქონები თბილისის შესახებ.

უნაგრო ქართველის სევდის ბურჟუას ცივ ტალღებში მცურავი სულის წრფელ ძახილს და ნაღლიან ლაღადის ვკითხულობდი მე სისხლით დაწერილ სტრიქონებში „თბილისის ქართველებს არ ეკუთვნის“ ვკითხულობდი მე. „ჰა, ძმა, ქართველებმა დაპარგეს თბილისი“ მგნობდა გამუდმებით ყოველგან, ყოველთვის.

...და ეგ საშინელი სიმწარით და გესლით აღსავსე სასტიკი სიტუებები მტრის მოშამულ ისარივით ჰკოდავდა ჩემს ჰაბუკ არსებას... საშინელ ტკივილებს გვტანობდა... წყლულის გასაკურნავად წამალს ვერსად ვპოულობდი.

„ქართველებმა დაპარგა თბილისი“—დედა ქალაქი ციური თამარისა. პატარა, მაგრამ მრავალფეროვანი, გრძნული სამშობლო—საქართველოსი, რომლის ღია ყვავილოვან კალთაზე იშვენ: შოთა, ბარათაშვილი, ილია და აკაკი.

შორეულად, სევდიანობით მავალს მარად თვალწინ მდგა თბილისის სახის სურათი, სურათი ოცნებით შექმნილი და ანთებული გავიძახდი ვინ ვინ წაართვა თამარს სამშობლო მისი? ვინ მოსტაცა შოთას მამული მისი? ვის აქვს უფლება ხელიდან გამოსტაცოს მომავალ ახალ, ცოცხალ ძალას, ნორჩ, მოზარდ ახალგაზდობას მიწა მშობელი და აღმზრდელი? არავის ამ ქვეყნად, იძლევა მტკიცედ პასუხს სული ჩემი და დროგამოშობით ნათელი, პირმცინარე შორეულ მომავლის ელფეროვან სურათის წარმოდგენა იმედის სხივთა ცეცხლის ძლიერებით აქარწყლებდა შავ მანდილს სევდიან ფიქრებისას, რომელიც წუთიერი სიტუებების განცდათა ტბილ წამებს მიხზობდა!...

დღეს თვით დავლ თბილისის მღელვარე ქუჩებზე.

დავალ მარტოკა მშობელ ქვეყნის დედა ქალაქში და მარტოობაში ჩვეული ვათვლიერებ ყოველ კუთხეს, ყოველ მიდამოს მრავალ ფეროვანს...

დავალ მარტოკა და „ჩემს სამშობლოში ვეძებ სამშობლოს“, მაგრამ ამათა ცდა ჩემი... ვმზერ ცხადდ უნაყოფოა ძიება ჩემი.

არსთა ყოფნის ჩქარ სობოლაში მრავალი რამ განადგურებულა, გამქრალა, მრავალი ცვლილებანი მომხდარა... მე ვგრძობ, მე ვხვდებ ამას...

საშინელი სურათების ხილვითსევდიანი გული ჩემი გული რომელიც ჰაბუკობის ცეცხლით ანთებული საქართველოს ნათელ მომავალზე ფიქრობენებით სულდგმულობს მღმდევ.

მწირსავით დავალ ანთებულ და მოვლვარე ელექტრონებით შუქთა ზღვის მოცახცხე ტალღათა შორის

და ურადღებით ვუძებ ვრ, ვათვლიერებ ყოველივეს შენობას მალაზიებს საკრებულოებს ბაღებს...

„მიხარ, მეგობარო, ქართველის არის ავ ის შენობა რომელიც ჩვენს პირდაპირ მთასავით აღმართულა?“

ვეკითხები გამვლელ უცნობს დიდის ბოდიშით „ქართველისო? ქართველს ვინ მისცა თბილისში ასეთი შენობა?“ მაძლევს პასუხს უცნობი ცივირის ღიმილით.

„ან აი ჯერ, მარჯვნივ, მთელი რიგი

გაჩაღებული მალაზიების რომ იხედება ამ ის სახლი ზემოდ?“ ვეკითხები ისევ.

„რასაც აქ შესანიშნავს და საყურადღებოს ხედავთ არც ერთი ქართველი არ ეკუთვნის!“—მაძლევს უკანასკნელ მღვლო პასუხს უცნობი მზავარი და მუშაობისა დება...

კვლავ მარტოდ დავალ ანთებულ ქუჩებში და ვეძებ ისევ „ჩემს სამშობლოში ჩემსავე სამშობლოს“...

შევდივარ ქალაქის საბჭოში. უთვალავია მსახურთა რიცხვი დიდია მთხოვნელთა გროვა. ვაცეცებ ნაღლიანად ფვალებს... ვეძებ ქართველის სახეს. ვეძებ ჩემი ქვეყნის შვილს... მაგრამ, ვგაღას, ძიება ჩემი. იქ უცნობანი სხედან იქ არ ისმის პარმონიული ბგერა რუსთაველის გრძნული ენისა განდევნილი იქედან მოქმე ჩემი. და დამუხარებული ვტოვებ ჩემთვის უცნობ დაწვებულების კედლებს... ნელის ნაბიჯით გამოვდივარ ისევ ქუჩაზე და დაღლილი სახლისკენ მივწვივ ვათვლიერებ მეეტლეთა გმელრიგს. უცნობი არიან მეეტლენი. გაუგებარია ჩემთვის ენა მათი და საუბარი.

გაჩაღებულ პრისპექტის შუა გულზე მიმაქანებს ორ ვაგონიანი „ტრამვაი“. დაძვ. ვგვიანა ცოტა არიან მგზავნი. ჩემს უკან დგანან კონდუქტორები და საუბრობენ. მე არ მესმის საუბარი მათი. უცნობა ჩემთვის ენა მათი... ასეთ ყოველთვის ასეთ ყოველგან...

ყოველგან უცნობ... არსად ქართველი! სინამდვილე სიტუებში სისხლით დაწერილი სტრიქონებისა. ქართველ ხალხს დაუარავს ის ადგილი, ის მიწა, რომელიც თავისი წინაპართა სისხლის ოკეანეთი არის მორწყული, წინაპართა სისხლის ზოლებით მოხაზული მრისხანე შამაბაზი იყო არა ერთი, არა პირველი მოსურნე დღეს „დაქარგულ“ ადგილისა, დიდი იყო სურვილი ალა-შამად-ხანისა, მაგრამ ქართველთა ძალ-ღონემ, ძლიერებამ, სიამაყემ და სიმტკიცემ შეარყია მრისხანე შამაბაზისა და ღირსეულად შეინარჩუნა სამშობლო მისი მრავალ ფეროვანი.

დღეს კი რას ვხვდებით! დღეს რისი მოწამე ვართ?

ჰოი სინამდვილე, შემამრუწუნებელი სახე შენი სევდის მომგვრელი!

ჰო, თამარ, თამარ ძლიერო და მშვენიერო! რითი შესძლებს მთელი მორასებე ქართველობა შენს ბრწყინვალე სხოვის წინაშე იმართლოს თავი!

თამარ ძლიერო, შენი ძველი სამშობლოს გრძნული სახის ტურფა იერი უცხოეთიდან მონაბერი მძაფრ ქარბზხალს წყვდიადის ღრუბლებით დაუხურავს და პაღამის არის სრულებით შთანთქას იგი.

და ანთებული სევდიანობით გმინდა შევკვირო მთელს ქართველ ხალხს: ქართველო ერო! რად მოუტავს მღუმარების ცივ ბურჟუას საზარ ტლულებს ცეცხლოვანი არსება შენი! რამ დღეაბრმა? სად არის, სად შენი ძველი, ჩვეული ძალა, ნიჭი მოქმედებისა, სურვილი სწრაფვა, მიზანი, სიმტკიცე და შეურყევლობა? რას უტედი, რაღას ელი! ნუ თუ ვერ მზერ შენს უბედურებას თვით შენ მიერ შექმნილს და შობილს? გაახილე გვალები და ნახე, რომ შენ ხელიდან გტაცებენ, გატლიან, გართმევენ შენი საკუთრებას, სიმდიდრეს, დიდებას, შენი წინაპრებისას უსიკრებლოდ სურთ მოგპარონ ბედნიერება შენი.

ავაზაკური სიფრთხილით და ღუმლით გვაპრებიან მტრები რომ გააქარწყლონ მიწის მკერდზე ხსენება შენი; გართმევენ ნებას. უფლებას შენს მიწა წყალს შენი“ უწოდო! მერე ათათა, რისთვის?!.. შენ ხომ ძლიერ ხარ, ქართველო ერო! ძლიერი იყავ წარსულში.—მაშ იყავ ძლიერი აწმყოში, იყავ მომავალში! მოიგონე შენი ყოფა-არსებობის საზღაპრო წარსული გადაფურცლე ძველი რვეული შენი ცხოვრების და აიღე მავალითი. განა არ გესმის ახალი ლეონიების ძახილი. „დაქა, ლევან, მტერს, მით სამშობლოს იცავ, გული გაუპე, მით საქართველოს იხსნი!“

ქართველი ხალხი სუფევდა მარად, არსებობს დღეს და უნდა იარსებოს მანამდი, ვიდრე სუფევს მთელ ხილული, უსაზღვრო, ვრცელი მსოფლიო.

ერო, თამარ დავითის ირაკლის და შოთასი კმარა ღუმლი და მძინვარება, თორემ გწამდეს, რომ გამოუსყიდელი იქნება შენს წინაპართა წინაშე დანაშაული შენი.

ქ. თბილისი. შ. ანაშაილი.

